ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7349676

ნომერი: AR11072545

თარიღი : 02.01.2025

გაცემის თარიღი : 20.01.2025

გაცნობის თარიღი : 20.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 43 , (ნაკვეთი N15/69);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 06 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 02 იანვარს №AR11072545 განცხადებით მომართა ივანე მირცხულავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 06

აგვისტოს №7168145 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 06 აგვისტოს №7168145 ბრძანებით №01.10.13.015.069 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის „ა“ ბლოკის“ ა“ და „ბ“ შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 6 აგვისტოდან 2024 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 26 აგვისტოს №7191770 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში და შეთანხმებული +85.35 და +91.95 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 19 აგვისტოს №AR11053897 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2024 წლის 27 სექტემბრის №7230613 ბრძანებით კვლავ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 54449.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 8633.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 96511.5 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებით შეთანხმებული +0.00, +9.30; +9.15, +72.15, +75.45, +85.35 და +88.65 ნიშნულების გეგმები (სამსახურის 2024 წლის 26 აგვისტოს №7191770 ბრძანების გათვალისწინებით) ჩანაცვლდა №AR11058415 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2024 წლის 02 დეკემბრის №7304006 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 54448.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 11274.4 კვ.მ., საერთო ფართობად 96510.9 კვ.მ. სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებით შეთანხმებული +32.55, +52.35, +118.35, +121.65 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 19 ნოემბრის №AR11066804 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 06 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად 1094.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1385 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 8025.7 კვ.მ-ის ნაცვლად 8043.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 96515.5 კვ.მ-ის ნაცვლად 96819.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას. აგრეთვე, +/-0.00 და +121.65 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, წარმოდგენილი +/-0.00 და +121.65 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ექსპლიკაციების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 1385.0 კვ.მ., კომერციულ ფართობად 8043.3 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 96819.3 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანებით შეთანხმებული +/-0.00 და +121.65 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168145, 2024 წლის 26 აგვისტოს №7191770 და 2024 წლის 27 სექტემბრის №7230613 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7)

კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.